ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

3/97

ქ. თბილისი

3 მაისი, 2011 წელი

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „დემარკი" (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ აბრამიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" ბიუჯეტის სახსრებით, უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმის რეკონსტრუქციისა და კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი 71320000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტი განისაზღვრება ტექნიკური დავალების და გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართები - ტექნიკური დავალება; ხარჯთაღრიცხვა).

2. ხელშეკრულების ერთეულის და საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დღგ და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელმა საპროექტო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაციის მყარი ასლები _ ალბომების სახით (4 ეგზ.) და ელექტრონულ ფორმატში (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი _ ArchiCad, Auto CAD კომპაქტური დისკების (CD) სახით - 2 ეგზ).

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2011 წლის 17 ივნისის ჩათვლით, უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება შემსყიდველისათვის.

4.4 მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ათონელის # 27 (სანაპიროს მხრიდან).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან:

- პაატა გაფრინდაშვილი - სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს" ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი;
- ვაჟა ილურიძე - სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს" ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მთ. სპეციალისტი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ხელშეკრულების ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
8.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
8.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;
8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო- დოკუმენტაცია.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.4.2. დაკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.4.3. საპროექტო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
8.4.4. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
8.4.5. სამუშაოების განხორციელებისას საავტორო ზედამხედველობის განხორციელება შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან ერთად.
8.5 საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს 4 (ოთხ) ეგზემპლარად, აგრეთვე პროექტი ელექტრონული სახით წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 მუხლით განსაზღვრულ ფორმატში.
8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ტარიფების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ „საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900
ს/კოდი: 204562311

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

მიმწოდებელი

შპს „დემარკი“
მის: ქ. თბილისი,
ბალანჩივაძის ქ. #39
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“
კოდი: REPLGE22
ა/ა № 3608106360
ს/კოდი: 205196759

დირექტორი

ვლადიმერ აბრამიშვილი

ტექნიკური დავალება

უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმის რეკონსტრუქციისა და კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტი დოკუმენტაციიის შედგენაზე

❖ **<u>საპროექტო სამუშაოები უნდა ემსახურებოდეს შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევას:</u>**

- ძეგლის შენარჩუნებით ხელი შეუწყოს ქართული კულტურის ნიმუშების საზოგადოებრივი პოტენციალის ამოქმედებას;
- ძეგლის კომპლექსური შესწავლა-შეფასებითა და რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენით შეუქმნას წინაპირობა რეაბილიტაციის ფიზიკური სამუშაოების განხორციელებას.

❖ **<u>საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობისას უნდა მოხდეს</u>**

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ ფორმატში.

დამკვეთი იტოვებს უფლებას, ტექნიკური დავალების საფუძველზე დააზუსტოს მოთხოვნები მისაღები (დასამუშავებელი) პროდუქციის

სამუშაოების დასრულების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 1,5 თვე (ერთ ეტაპად)

შესრულებული სამუშაო (საბოლოო პროდუქცია) დამკვეთს წარედგინება ოთხ-ოთხ ეგზემპლარად:
– ელექტრონულ ფორმატში (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი
– ArchiCad, Auto CAD) კომპაქტური დისკების (CD) სახით;
– მყარი ასლები – ალბომების სახით.

უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის სამუზეუმო ნაწილის რეკონსტრუქციისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტის კრიტერიუმები

უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად გაჩენილი ახალი მოცულობები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. უნდა იყოს უკვე არსებულ მუზეუმის შენობასა და დამხმარე ნაგებობებთან თავსებადი მასშტაბის, გამოყენებული მასალისა და გეგმარებითი თვალსაზრისით;

2. მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტა უნდა შეესაბამებოდეს არსებული ნაგებობების არქიტექტურულ სახეს, რათა გაჩნდეს კომპლექსის შემადგენელი მოცულობების მთლიანობის განცდა;

3. არ დაარღვიოს მუზეუმისა და მასთან დაკავშირებული, სხვადასხვა ფუნქციის მქონე დამხმარე ნაგებობების კომპაქტურობა;

4. უნდა ხასიათდებოდეს არსებულ გარემოსთან, პირველ რიგში, უფლისციხის მთავარ ბუნებრივ, არქიტექტურულ თუ იდეურ დომინანტთან – კლდეში ნაკვეთ კომპლექსთან – დელიკატური მიდგომით; მასთან მოცილეობისა და კონკურენციის გარეშე ეწერებოდეს გარემოში; არ დაარღვიოს ძეგლის ვიზუალური აღქმის არე. ახალმა ნაგებობებმა უნდა გახსნას ახალი ხედები, შექმნას ძეგლის აღქმისა და დათვალიერების შესაძლებლობა და კომფორტული გარემო ვიზიტორთათვის;

5. ყოველი კონკრეტული ნაგებობის/მოცულობის ფუნქციის გათვალისწინებით მაქსიმალურად რაციონალურად უნდა იყოს შერჩეული მათი ადგილმდებარეობა კომპლექსში, რათა ორგანიზებულად წარიმართოს მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე მნახველის გადაადგილება. სასურველია, კომპლექსის გეგმარებამ განსაზღვროს სტუმრის მოძრაობის მიმართულება ვიზიტის ფარგლებში მაქსიმალური ეფექტის მიღწევის მიზნით;

6. ახალი მოცულობები ისე უნდა დაგეგმარდეს, რომ შეძლოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, უზრუნველყოს ბავშვთა და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა მიმდინარე სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესებში;

7. საკუთრივ საგამოფენო სივრცე უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე სტანდარტის სამუზეუმო მოთხოვნებს – განათების, საცავების, საკონსერვაციო-დამამუშავებელი სივრცეებისა და კლიმატ-ტენიანობის მხრივ.

8. მუზეუმის არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი შეთანხმდეს ავტორთან.

9. პროექტში გათვალისწინებული იქნეს უნარშეზღუდულთა მოთხოვნები, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

“შემსყიდველი” მოითხოვს შესრულდეს საპროექტო დოკუმენტაცია შემდეგი შემადგენლობით:

- მუზეუმის არსებული შენობის რეკონსტრუქცია ახალი მოცულობის გათვალისწინებით: (არქიტექტურული და კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები)
- მუზეუმის სანტექნიკური ნაწილი (ნახაზები, სქემები, ტექნოლოგიური მაჩვენებლები)
- მუზეუმის ელექტროტენიკური ნაწილი (ნახაზები, სქემები, ტექნოლოგიური მაჩვენებლები)
- მუზეუმის გათბობისა და ვენტილაციის სისტემები (ნახაზები, სქემები, ტექნოლოგიური მაჩვენებლები)
- მუზეუმის სუსტდენიანი სისტემები (კომპიუტერული, სატელევიზიო და აუდიო ქსელები) - ნახაზები, სქემები, ტექნოლოგიური მაჩვენებლები
- მუზეუმის ტექნოლოგიური ნაწილი (ექსპონატების გასათავსებელი და საოფისე ავეჯის განთავსების სქემატური გეგმები, საინფორმაციო მაჩვენებლების სახეები)
- სამუზეუმო ნაწილის ტერიტორიის კეთილმოწყობა და დენდროლოგია (საჩრდილობელით)
- მუზეუმ-ნაკრძალის ვერტიკალური დაგეგმარება (ნაწილობრივი)
- მუზეუმ-ნაკრძალის სარწყავი სისტემის მოწყობა: (სქემები, სამუშაო ნახაზები)
- სანიაღვრე გარე ქსელის მოწყობა სამუზეუმო ნაწილის შესასვლელში (სქემები, სამუშაო ნახაზები)
- მუზეუმ-ნაკრძალში საქვეითო გზების მოწყობა არსებულიდან გვირაბამდე (გენგეგმაზე დატანით)
- მუზეუმ-ნაკრძალში ჯებირის მოწყობა (გაგრძელება) – გენგეგმაზე დატანით
- ჯებირის მიმდებარე ტერიტორიის დენდროლოგია;
- სანკვანძის მოწყობა ჯებირის მიმდებარე ტერიტორიაზე (ელექტროტექნიკური და სანტექნიკური ნაწილით) – ორი ვარიანტიდან შესარჩევია
- დაცვისათვის გათვალისწინებული შენობა ტრადიციული რეწვის სარეალიზაციო დახლებთან (არქიტექტურული და კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები)
- ტერიტორიის შემოღობვა: (სქემა, ღობის სამუშაო ნახაზები)
- მანიშნებლები ძეგლზე: (სქემა, მანიშნებლების სამუშაო ნახაზები)
- სკამები გზის გასწვრივ (სქემა, სკამის სამუშაო ნახაზები)
- მუზეუმ-ნაკრძალში ახალი კიბეების მოწყობა (სქემა, კიბეების სამუშაო ნახაზები)
- მუზეუმ-ნაკრძალის გვირაბში არსებული კიბეების განახლება მოაჯირების მოწყობით – დასაკორექტირებელია არსებული ნახაზები
- საქვეითო გზისა და გვირაბის განათება (ნახაზები, სქემები, ტექნოლოგიური მაჩვენებლები)
- გადახურვის მოწყობა არქეოლოგიური ნაშთების თავზე და სახაბაზოსთან (არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები)

- კედლის კონსტრუქციული გამაგრება არქეოლოგიური ნაშთების გასწვრივ (კონსტრუქციული ნახაზები)
- კომპლექსის გენერალური გეგმა, ახალი საპროექტო ობიექტების, კეთილმოწყობის ელემენტებისა და მარშრუტების ჩვენებით
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი.
- ზემოჩამოთვლილი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები

ზემოჩამოთვლილ პროექტებს თან უნდა ახლდეს რენდერები და სამუშაოთა მოცულობითი სპეციფიკაციები, როგორც არქიტექტურულ, ისე კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ ნაწილებში

ინფრასტრუქტურის ობიექტების შემადგენლობა და სარეკომენდაციო-საორიენტაციო ფართობები

1. მუზეუმის არსებული შენობის რეკონსტრუქცია ახალი მოცულობის გათვალისწინებით

1.1 საექსპოზიციო სივრცე – 200 კვ.მ.

1.2 საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გასათვალისწინებული სივრცე – 80 კვ.მ.

1.3 მუზეუმის შენობა უნდა დაგეგმარდეს ისე რომ ფორს-მაჟორული სიტუაციების (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისწვრა, შეიარაღებული კონფლიქტები) დროს ადვილად მოხდეს დამთვალიერებლებისა და თანამშრომლების ევაკუაცია და კოლექციების ტრანსპორტირება, შესაბამისად, უნდა დაგეგმარდეს საევაკუაციო გასასვლელები.

1.4 მისადგომი სატვირთო მანქანისთვის;

2. დიდი ექსპონატების შესატანად გათვალისწინებულ უნდა იქნეს კარის საერთო ზომები (სიგანე, სიმაღლე);

3. გასათვალისწინებელია: ფონდსაცავი (40 კვ.მ.)

4. ოთახი საფონდო სამუშაოებისათვის (კარტოტეკით, დამხმარე სამეცნიერო მასალის ფონდით (ინვენტარიზირებული მასალა, კატალოგები, ნახაზები, ფოტოები, კომპიუტერი), სადაც, ასევე, შესაძლებელი იქნება ექსპონატის ფოტოგადაღება. აღნიშნული სათავსი უნდა განთავსდეს ფონდსაცავთან. ოთახი გათვლილი უნდა იყოს 3 ადამიანზე – 20 კვ.მ.

5. თანამშრომელთა სამუშაო სივრცეები: მმართველისთვის და სხვა თანამშრომელთათვის – საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორისთვის, მონიტორინგის სპეციალისტისა და ვიზიტორთა პროგრამის კოორდინატორისთვის – სულ 40 კვ.მ

6. სათავსო ექსპოზიციის მომსამზადებლად და საექსპოზიციო ინვენტარის საწყობი – 15 კვ.მ.

7. სარესტავრაციო სახელოსნო – 15 კვ.მ.

8. გასახდელი – 8 კვ.მ.

9. სამეურნეო-ტექნიკური სათავსო (ხელსაწყოები, ჰიგიენის ნივთები და სხვ.) – 8 კვ.მ.

10. სანკვანძი მომსახურე პერსონალისათვის;

11. უნარშეზღუდულ პირთათვის გადაადგილების შესაძლებლობების გათვალისწინება;

12. მუზეუმის საექსპოზიციო სივრცისა და ფონდსაცავის უზრუველყოფა კლიმატისა და ტენიანობის რეჟიმით.

საქართველო. შპს "დემარკ"
GEORGIA. "DEMARK"

უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმის რეკონსტრუქციისა და კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტის ხარჯთაღიცხვა

პროექტის წარმოდგენის ვადაა 1.5 თვე ხელშეკრულების გაფორმებიდან

საპროექტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

თანხა მოცემულია ლარებში (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით).

შესასრულებელი სამუშაოები:

1. კომპლექსის გენერალური გეგმა, ახალი საპროექტო ობიექტების, კეთილმოწყობის ელემენტებისა და მარშრუტების ჩვენებით

2. მუზეუმის არსებული შენობის რეკონსტრუქცია ახალი მოცულობის გათვალისწინებით: (განმარტებითი ბარათი, შენობის კონსტრუქციული კვლევა კონსტრუქციული მდგრადობის თვალსაზრისით. არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები, სპეციფიკაციები, რენდერები)
3. მუზეუმის სანტექნიკური ნაწილი (ნახაზები, სქემები, სპეციფიკაციები)
4. მუზეუმის ელექტროტენიკური ნაწილი (ნახაზები, სქემები, სპეციფიკაციები)
5. მუზეუმის გათბობისა და ვენტილაციის ნაწილი (ნახაზები, სქემები, სპეციფიკაციები, ტექნოლოგიური მაჩვენებლები)
6. მუზეუმის სუსტდენიანი სისტემები (კომპიუტერული, სატელევიზიო და აუდიო ქსელები) - ნახაზები, სქემები, ტექნოლოგიური მაჩვენებლები, სპეციფიკაციები.
7. მუზეუმის ტექნოლოგიური ნაწილი (ექსპონატების განსათავსებელი და საოფისე ავეჯის განთავსების სქემატური გეგმები, საინფორმაციო მანიშნების სახეები)

-20 850.00

- სამუზეუმო ნაწილის ტერიტორიის კეთილმოწყობა და დენდროლოგია (საჩრდილობელით) - რენდერები – 400.00
- მუზეუმ-ნაკრძალის ვერტიკალური დაგეგმარება (ნაწილობრივი) – 300.00
- მუზეუმ-ნაკრძალის სარწყავი სისტემის მოწყობა: (სქემები, სამუშაო ნახაზები) – 200.00
- სანიაღვრე გარე ქსელის მოწყობა სამუზეუმო ნაწილის შესასვლელში (სქემები, სამუშაო ნახაზები): – 200.00
- მუზეუმ-ნაკრძალში საქვეითო გზების მოწყობა არსებულიდან გვირაბამდე (გენგეგმაზე დატანით) – 0.00
- მუზეუმ-ნაკრძალში ჯებირის მოწყობა (გაგრძელება) – გენგეგმაზე დატანით – 0.00
- ჯებირის მიმდებარე ტერიტორიის დენდროლოგია; – 200.00
- სანკვანძის მოწყობა ჯებირის მიმდებერე ტერიტორიაზე (ელექტროტექნიკური და სანტექნიკური ნაწილით) – ორი ვარიანტიდან შესარჩევია – 0.00

- დაცვისათვის გათვალისწინებული შენობა ტრადიციული რეწვის სარეალიზაციო დახლებთან (არქიტექტურული და კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები, რენდერები) – 500.00
- ტერიტორიის შემოღობვა: (სქემა, ღობის სამუშაო ნახაზები) – 200.00
- მანიშნებლები ძეგლზე: (სქემა, მანიშნებლების სამუშაო ნახაზები) –100.00
- სკამები გზის გასწვრივ (სქემა, სკამის სამუშაო ნახაზები) – 0.00
- მუზეუმ-ნაკრძალში ახალი კიბეების მოწყობა (სქემა, კიბეების სამუშაო ნახაზები) – 200.00
- მუზეუმ-ნაკრძალის გვირაბში არსებული კიბეების განახლება მოაჯირების მოწყობით – დასაკორექტირებელია არსებული ნახაზები – 0.00
- საქვეითო გზისა და გვირაბის განათება (ნახაზები, სქემები, ტექნოლოგიური მაჩვენებლები) – 100.00
- გადახურვის მოწყობა არქეოლოგიური ნაშთების თავზე და სახაბაზოსთან (არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები) –300.00
- კედლის კონსტრუქციული გამაგრება არქეოლოგიური ნაშთების გასწვრივ (კონსტრუქციული ნახაზები) – 300.0
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი. – 150.00
- ზემოთჩამოთვლილი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები – 1000

სულ – 25 000.00 ლარი

შპს "დემარკის' დირექტორი ვ. აბრამიშვილი